საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №202/04
2023 წლის 3 აგვისტო

ქ. თბილისი

„საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტოს №193/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტოს №193/04 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 29/08/2018; ს/კ: 220020000.18.011.016332) დამტკიცებული წესის მე-14 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ბიურომ არანაკლებ წელიწადში ორჯერ, ხოლო პლატფორმამ არანაკლებ წელიწადში ერთხელ უნდა ჩაატაროს შეღწევადობის ტესტირება, რომელიც განხორციელდება გარე აუდიტორული კომპანიის ან სხვა შესაბამისი კომპეტენტური ორგანიზაციის მონაწილეობით, რომლის ვინაობაც წინასწარ უნდა შეთანხმდეს ეროვნულ ბანკთან. შეღწევადობის ტესტირებამ უნდა მოიცვას ორგანიზაციის ყველა საინფორმაციო სისტემა და დაკავშირებული პროცესები.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის
პირველი ვიცე-პრეზიდენტი/
საქართველოს ეროვნული ბანკის **ნათელა თურნავა**
პრეზიდენტის მოვალეობის
შემსრულებელი